საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

ბრძანება №130

2017 წლის 15 ნოემბერი

ქ. თბილისი

„სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა /მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10/04/2014, 100110000.22.038.016310) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული წესის 2^3 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილება ვალდებულია აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობოს დაწესებულების მთავარ ექიმს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებელს.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაწესებულების მთავარი ექიმი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებელი ვალდებულია ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას, ასევე, პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების აღმოფხვრისას, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში, წერილობით აცნობოს კომისიას/აპარატს, ხოლო აპარატი, თავის მხრივ, ვალდებულია დაწესებულების მთავარი ექიმისაგან/მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებლისაგან მიღებული დოკუმენტები ასახოს სამედიცინო პროგრამაში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის მინისტრი **კახა კახიშვილი**